სუშის მასტერ-კლასი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ქალბატონი მაია ფანჯიკიძის და იაპონიის ელჩი, ბატონი ტოშიო კაიტანის მონაწილეობით

8 მარტს, კულინარიუმში (კულინარიის სკოლა) ჩატარდა სუშის მასტერ-კლასი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ქალბატონი მაია ფანჯიკიძის, მინისტრის მოადგილის, ქალბატონი თამარ ბერუჩაშვილის, სამინისტროს თანამშრომლებისა და იაპონიის ელჩის, ბატონი ტოშიო კაიტანის მონაწილეობით. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა იაპონიური კულტურის პოპულარიზაციას და ხალხთაშორის კავშირების გაღრმავებას.